საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/59

ქ. ბათუმი 29 ივლისი, 2022 წ.

„2022–2023 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 თებერვლის N06-01/09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 81-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის, ,,ბსუ-ს საგანმანთლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/36 გადაწყვეტილების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების (MES 3 22 0000476575, 11.05.2022), „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მედია და ინოვაციები“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 ივნისის №06-01/48 დადგენილების, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფ. მარინე გიორგაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 6 22 0000834444, 22.07.2022) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 2022–2023 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 თებერვლის N06-01/09 დადგენილების **№1 დანართში** შევიდეს ცვლილება, კერძოდ დაემატოს ჩანაწერი სამაგისტრო პროგრამის ,,ციფრული მედია და ინოვაციები“ შესახებ და ჩამოყალიბდეს მე-20 პუნქტის სახით შემდეგი რედაქციით:

№	საგანმანათლებლო პროგრამა	მისაღები რაოდენობა	პროგრამების აკრედიტაციის ვადა	სწავლის წლიური საფასური
20	ციფრული მედია და ინოვაციები	10	**11.05. 2026**	2250

2. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს წინამდებარე დადგენილების აღსრულებისათვის შესაბამისი ღონისძიებების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით განხორციელება (სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში **განახლებული ანკეტისა და ანოტაციის დადგენილ ვადაში ასახვა).**

3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**